

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №14.14222011

თარიღი:20/07/2022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ივნისის №14.14221813 ბრძანების და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება კვარიათში მდებარე უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 ივლისის №14.14221861 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge გამართულ აუქციონზე იჯარის უფლებით სარგებლობაში განკარგვის მიზნით გამოტანილი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე, ჯამში - 61 ერთეული მიწის ნაკვეთი (პლაჟის მონაკვეთები) მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ივნისის №14.14221813 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონი დასრულდა 2022 წლის 07 ივლისის 14:00 საათზე, ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 ივლისის №14.14221861 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონი

დასრულდა 2022 წლის 12 ივლისს 14:00 საათზე. 61 ერთეული მიწის ნაკვეთიდან (პლაჟის მონაკვეთებიდან) განიკარგა 10 ერთეული მიწის ნაკვეთი, მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად, ასევე მოხდა 1 ერთი ერთეული პლაჟის მონაკვეთის განკარგვის სიიდან ამოღება. ხოლო დარჩენილი 50 ერთეული მიწის ნაკვეთის განკარგვის ვაჭრობის ნაწილში აუქციონი ჩაიშალა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად: „თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით აუქციონად ჩაითვლება“.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე ბრძანების დანართით წარმოდგენილი 50 ერთეული მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთის) იჯარის უფლებით სარგებლობაში განკარგვის მიზნით გამოცხადდეს განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი შეცვლილი პირობებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №10 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ში მითითებული პლაჟის მონაკვეთების, საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის 2022 წლის 01 აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.

2. ბრძანების პირველი პუქტით განსაზღვრული პლაჟის მონაკვეთების 1 კვ.მ.-ს წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 60 ლარის ოდენობით - 01 აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით - 12,50 ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანების დანართი 2-ის და დანართი 3-ის შესაბამისად.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)
1	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №33)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.557	№2	240	3000
2	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №26)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.572	№2	240	3000
3	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №25)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.573	№3	240	3000
				№4	240	3000
4	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №24)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.574	№5	240	3000
				№6	240	3000
				№7	240	3000
5	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №23)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.575	№5	240	3000
				№6	240	3000
				№7	240	3000
6	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №22)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.576	№4	240	3000
				№5	240	3000

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)
7	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №21)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.577	№3	300	3750
				№4	300	3750
8	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №20)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.578	№5	300	3750
				№6	300	3750
9	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №19)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.579	№4	240	3000
				№5	240	3000
10	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №17)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.583	№2	240	3000
11	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №15)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.585	№4	240	3000
				№5	240	3000
12	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №14)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.589	№2	240	3000
				№3	240	3000
13	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №13)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.590	№3	240	3000
				№4	240	3000
14	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №12)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.587	№3	240	3000
				№4	240	3000
				№5	240	3000
15	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №11)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.586	№4	240	3000
				№5	240	3000
				№6	240	3000

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)
16	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №10)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.564	№7	240	3000
				№9	240	3000
17	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №9)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.565	№3	240	3000
				№4	240	3000
18	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №8)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.566	№4	240	3000
				№6	240	3000
19	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №7/2) და სექტორი №7/1)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.629	№3	240	3000
20	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №6)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.623	№3	240	3000
				№4	240	3000
21	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №5)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.622	№6	240	3000
				№7	240	3000
22	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №4)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.621	№6	240	3000
				№7	240	3000
23	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №3)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.620	№2	240	3000
				№3	240	3000
24	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №2)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.618	№3	240	3000

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)
25	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №1)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.615	№2	240	3000
				№3	240	3000
26	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.070	№1	240	3000

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2022 წლის 20 ივლისის
№814.14222011 ბრძანების

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)	„ბე“/საგარანტიო თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	ობიექტი - საპლაჟე ინფრასტრუქტურა
1	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №33)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.557	№2	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
2	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №26)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.572	№2	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
3	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №25)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.573	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
4	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №24)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.574	№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№6	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№7	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
5	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №23)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.575	№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№6	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№7	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)	„ზე“/საგარანტიო თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	ობიექტი - საპლაჟე ინფრასტრუქტურა
6	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №22)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.576	№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
7	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №21)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.577	№3	300	3750	1125	115	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№4	300	3750	1125	115	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
8	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №20)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.578	№5	300	3750	1125	115	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№6	300	3750	1125	115	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
9	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №19)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.579	№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
10	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №17)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.583	№2	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
11	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №15)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.585	№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)	„ზე“/საგარანტიო თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	ობიექტი - საპლაჟე ინფრასტრუქტურა
12	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №14)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.589	№2	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
13	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №13)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.590	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
14	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №12)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.587	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
15	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი №11)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.586	№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№5	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№6	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
16	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №10)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.564	№7	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№9	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
17	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №9)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.565	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)	„ზე“/საგარანტიო თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	ობიექტი - საპლაჟე ინფრასტრუქტურა
18	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №8)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.24.566	№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№6	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
19	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №7/2) და სექტორი №7/1)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.629	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
20	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №6)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.623	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№4	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
21	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №5)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.622	№6	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№7	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
22	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №4)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.621	№6	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№7	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
23	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №3)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.620	№2	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
24	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №2)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.618	№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა

№	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის №	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საწყისი საიჯარო ქირა (ლარი)	„ზე“/საგარან ტიო თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	ობიექტი - საპლაჟე ინფრასტრუქტურა
25	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი №1)	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.615	№2	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
				№3	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა
26	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.36.26.070	№1	240	3000	900	90	საპლაჟე ინფრასტრუქტურა

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული
აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს განმეორებით პირობებიან ელექტრონულ აუქციონს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე მიწის ნაკვეთების, პლაჟის მონაკვეთების მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

- ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის ფორმა: პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.
- სარგებლობის ვადა: 2022 წლის 01 აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.
- აუქციონში გამარჯვების პირობა: მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას არანაკლებ ერთი ბიჯისა (ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეს).
- აუქციონში მონაწილეების მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილებს გამოცხადებულ სააუქციონო პირობებს.
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო ვადაში გამოცხადდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურში და ხელშეკრულების დასადებად წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ხელშეკრულება უნდა დაიდოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 07 კალენდარული დღის ვადაში.
- **სააუქციონო პირობები:**
 1. აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი „ბე“ (30%) ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი ქირის ოდენობაში. იჯარის ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, მოიჯარე (აუქციონში გამარჯვებული) სრულად იხდის სახელშეკრულებო პერიოდის სარგებლობის საფასურს.
 2. აუქციონზე განკარგული ქონების სარგებლობის საფასურის სრულად გადახდა შემდეგ ვადებში:
 - ა) გადასახდელი სრული სარგებლობის საფასურიდან პირველი 35%-ის გადახდა 2022 წლის 15 სექტემბრამდე.
 - ბ) გადასახდელი სრული სარგებლობის საფასურიდან მეორე 35%-ის გადახდა 2022 წლის 15 ოქტომბრამდე.
 3. აუქციონში გამარჯვებულს უფლება ეძლევა სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განათავსოს საპლაჟე ინფრასტრუქტურა (შეზღონგი, ქოლგა).
 4. მოიჯარე (აუქციონში გამარჯვებული) ვალდებულია სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
 5. მოიჯარე (აუქციონში გამარჯვებული) ვალდებულია განახორციელოს იჯარის უფლებით სარგებლობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მოვლა-პატრონობა და დასუფთავება.

6. მოიჯარეს (აუქციონში გამარჯვებულს) ეკრძალება იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ნებისმიერი სახით შემოღობვა, ასევე მიწის ნაკვეთზე (პლაჟის მონაკვეთზე) ობიექტის/საპლაჟე ინფრატრუქტურის იმდაგვარად განთავსება, რაც შეუძლებელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირის ზღვის სანაპიროზე მოხვედრას.

- აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2022 წლის 20 ივლისს 16:00 საათზე და სრულდება 2022 წლის 28 ივლისს 14:00 საათზე.
- ელექტრონული აუქციონი ჩატარდება ელექტრონული აუქციონის პორტალზე - www.eauction.ge.
- დაინტერესებულ პირს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლია მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (მის. ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10; ტელ: (0422) 24 63 15; 24 63 06; 577 92 52 24; საკონტაქტო პირი - ხათუნა ალიშანიძე).

აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი

შედგენილია: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად.

1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

1.2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) ვებგვერდზე www.eauction.ge დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, ურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება.

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტ ბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა.

1.3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება, უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია „1.2.“ პუნქტის მოთხოვნები.

2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

2.1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს „1.2.“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, სარგებლობის საწყის საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს.

2.2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

2.3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

2.4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

2.5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს სარგებლობის საწყისი საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს სარგებლობის საწყის საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ

რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

2.6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი. აუქციონში გამარჯვების თაობაზე აუქციონატორის მიერ დგება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება).

2.7. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

2.8. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს „ბე“ დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მისი შეტანის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის საფუძველზე. „ბე“ აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

2.9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგინილი წესით, გადაიხადეს „ბე“, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2.10. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არ გადაიხადა ქონების სარგებლობის საფასური (საიჯარო ქირა).

2.11. „ბე“, აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ საქართველოს ორგანული კანონით „დაარღვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ განსაზღვრული წესი და პირობები.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. აუქციონატორი (მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და ელექტრონული აუქციონის პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით;

დ) ელექტრონული აუქციონის პროცესში რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

3.2. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უბრუნდება „ბე“, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში

მონაწილეობა.

3.3. აუქციონატორი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს სარგებლობის უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – სარგებლობის უფლება ვალდებულებებთან ერთად).

3.4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები უფლებამოსილია:

- ა) სარგებლობაში მიიღოს მუნიციპალიტეტის ქონება;
- ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

3.5. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები ვალდებულია:

- ა) დაიცვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესები;
- ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს სარგებლობაში მიღებული მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასური და სრულად დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

4. ანგარიშსწორება

4.1. მომხმარებლის მიერ ლოტზე „ბე“-ს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ სარგებლობაში მიღებული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდა შესაძლებელია საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით.

4.2. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ქონების სარგებლობის საფასურის გადახდის, ასევე „ბე“-ს გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

4.3. მომხმარებლის მიერ ლოტზე „ბე“-ს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე სარგებლობაში მიღებული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდა ხორციელდება, საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და სხვა საშუალებებით.

4.4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების მიერ გადახდილი მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასური ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

5. გარიგების გაფორმება და ქონების მიმღების პასუხისმგებლობა

აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ქონების მიმღების ვალდებულებები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღების პასუხისმგებლობის წესი და პირობები, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ წესებითა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებით.